F) 36; 38; 39; 40
F550 ✓ 7995

საზოგადო, დიდი ძეძი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდი

1993
ოთხშაბათი
2
სექტემბერი
№35 (626)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის რაიონული საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შევეგებეთ სასწავლო წელს

სწავლის დაწყებას მოუთმენლად ელოდებოდა ათიათასობით ახალგაზრდა, სტუდენტი, მოსწავლე. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ გვაღელვებდა, მოსვენებას არ გვაძლევდა... როგორ საკლასო ოთახებში ისწავლიან ჩვენი შვილები? ექნებათ მათ სახელმძღვანელოები, სასკოლო ნივთები? ამის თაობაზე ჩვენ წინა ნომერშიც ვატყობინებდით მკითხველს წერილში „სანამ ზარი დაირეკება". ამჟამად-აც გაცნობებთ.

ლუარა კვირკველია, განათლების განყოფილების გამგე— ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს დიდად დაეხმარნენ სპონსორები. შეფი ორგანიზაციები. სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდმა გამოგვიყო შესათერებელი საშუალებები. ცემენტი, ხე—ტყე. სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარებული რემონტი მაინც ერთგვარი კოსმეტიკა იყო მხოლოდ. მთელი სიძნელეები წინ არის. ზამთარი შორს არაა. არენაზე არ სჩანს ძინები, საწვავი. არცთუ ისე ადვილი მოსაგვარებელია სახელმძღვანელოების პრობლემაც. „საქწიგნმა" კი გამოგვიგზავნა საკმარისი რაოდენობით 1—ლი კლასის „მათემატიკა, „დედაენა" (1 ნაწილი), მე—5 კლასის „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები", მე—7 კლასის „მშობლიური ლიტერატურა", „ფიზიკა". ასევე საკმაო რაოდენობით მივიღეთ მე—9 კლასის „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე", მე—10 კლასის „საქართველოს ისტორია", მე—11 კლასის „ინფორმატიკა", მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმისა, რაც აუცილებელია ნორმალური მეცადინეობისათვის.

მანონ შანავა, „საქწიგნის" № 1 მაღაზიის დირექტორი— წინა წლებთან შედარებით ძალზე მოუმზადებლები შევხდით ახალ სასწავლო წელს. 150 დასახელების სასწავლო სახელმძღვანელოდან „საქწიგნმა" მხოლოდ 3 გამოგვიგზავნა, გამოგზავნით დღეს ვინ შეიწუხებს თავს. უფრო სწორად, ჩვენი წარმომადგენელი წავიდა თბილისში და ჩამოიტანა. არცერთი სახელმძღვანელო არ მიგვიღია რუსული სკოლებისათვის. სანუგეშოს ვერც სხვა სასწავლო ნივთებზე ვიტყვი. მაღაზიაში ვერ ნახავთ სასკოლო ჩანთებს, რვეულებს... თბილისში ყოველდღე სიარული შეუძლებელია, რადგან საკუთარი თავის შენახვაც გვიჭირს.

ჩაიწერა მ. ეხვაიამ.

ახალი სასწავლო წლიდან ქალაქის მეორე საშუალო სკოლა ზაწილობრივ ფასიანი გახდება. გადასახდელი ფასები დაწესდება მშობლებთან შეთანხმებებით. მიერ სკოლისადმი და საერთოდ, განათლებისადმი სიმბოლურ თანადგომად მიიჩნევს.

სკოლა გათვალისწინებულია 450 მოსწავლეზე, ირიცხება 1200.

სიახლე სკოლაში

შემოსული თანხა მოხმარდება ყველასაგან თავმინებებული სკოლის მატერიალურ—ტექნიკური ბაზის შენარჩუნება—გაუმჯობესებას და საუკეთესო პედაგოგთა წახალისებას. შედავათებით ისარგებლებენ ობლები და ხელმოკლე ოჯახების შვილები, განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები.

სკოლის დირექცია ფასიან სწავლებაზე გადასვლას მშობლების როგორც ჩვენთან საუბარში მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ძ. სიბუშამ აღნიშნა, მშობლები, რომლებიც წინაადმდეგი იქნებიან ფასიანი სწავლების და ამავე დროს არ არიან მეორე საშუალო სკოლისადმი დაქვემდებარებული მიკროუბნის მოსახლენი, უფლებამოსილნი იქნებიან გადაიყვანონ თავიანთი შვილები ქალაქის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

პირველად—ეროვნული პასპორტები

ძვირფასო ზუგდიდელებო!

გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოქალაქეობის განსაზღვრის წესებს

სულ ცოტა დროის მონაკვეთი ალბათ და დადგება ის ნანატრი დროც, როდესაც ქართველი ხალხი მიიღებს პირველად ეროვნულ—პასპორტებს, მაგრამ სანამ ეს პასპორტები შემოვა, საჭიროა მომზადებული შევხვდეთ ამ დიდი ფორუმის ჩატარებას და ვიცოდეთ ახალი დებულებანი, როგორც პირადობის პასპორტის თუ საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად შეტანილი ცვლილებები არსებული დებულების მოთხოვნათა დაცვის საფუძველზე.

ზუგდიდის შ. ს. სამმართველოს საპასპორტო განყოფილების სახელით გილოცავთ ამ დიდ საზეიმო ვითარებას, რომელიც ქართული ისტორიის მატიანეში ჩაიწერება სიმბოლოდ, ღმერთი იყოს მთლიანად საქართველოს და თქვენი მფარველი.

ამრიგად, მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში არანაკლებ 5 წლისა და ცხოვრობენ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისთვის, ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად.

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში არა ნაკლებ—5 წლისა და ცხოვრობენ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის და არსურთ საქართველოს მოქალაქეობა, ვალდებულნი არიან 1993 წლის 28 სექტემბრამდე წერილობით, განცხადებით მიმართონ საპასპორტო განყოფილებას, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ.

18—წლამდე ასაკის პირთა მოქალაქეობის საკითხი განიხილება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად.

პირები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ფლობენ საქართველოს ტერიტორიაზე გაცემულ ყოფილ სსრკ—ს პასპორტებს საქართველოს მოქალაქეებად არ ჩაითვლებიან. ამ პირთა თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები ან საკონსულო დაწესებულებები გასცემენ აღნიშნულის დამადასტურებელ ცნობას, სხვა კომპეტენტურ ორგანოებში წარსადგენად, ხოლო პირები, რომლებიც დროებით საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის, რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მისაღებად მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ან საკონსულო დაწესებულებას.

პირები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით განაცხადებენ უარს, საქართველოს მოქალაქეობაზე დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად და დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

დღეის მდგომარეობით სანამ არ შემოვა ქართული პასპორტები მოქალაქეობის განსაზღვრის მიზნით პასპორტის ყდის შიდა პირველ გვერდის ზედა ნაწილში წარწერა სსრ—ს თავზე და პასპორტის პირველი ფურცლის ზედა ნაწილზე ვსვამთ მოქალაქეობის განსაზღვრულ შტამპს „საქართველოს მოქალაქე".

ვითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ საპასპორტო განყოფილებაში კვლავ შემოდის ეროვნებადაკარგულ ქართველთა განცხადება, განსაკუთრებით აფხაზეთიდან ჩამოსულების, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენთან და რომელთა ავტორებიც ნამდვილი ეროვნების დაბრუნებას ითხოვენ, საკუთარ მიწაზე, და რაღა გასაკვირია თუ სხვა კონტინენტზე სხვის ქვეყანაში საკუთარი ზეცის ქვეშაც აიძულებენ ქართველს ეროვნება შეეცვალა. შელეოდა ქართველობას, მაინც რა იყო და რა არის ეს ბედის ირონია? იქნებ გამოცდა ბედის? ვინ იცის, იქნებ ერთიცა და მეორეც...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან სხვადასხვა ინსტანციაში მაშინდელი საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში, საქართველოს სსრ და აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროებში და მმართველობის ორგანოებში, როგორც ირკვევა ათასამდე განცხადება, საჩივარი იყო შემოსული, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათი ავტორები წარმოშობით ქართველები არიან, რომელთაც სხვადასხვა გარემოებისა გამო დაბადების მოწმობებისა და პასპორტებში გაყალბებით, კანონის უხეში დარღვევით, მათი სურვილის გაუთვალისწინებლად უწერია ეროვნება. ანალოგიური შეუსაბამობა და უზუსტო ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებია ეროვნების თაობაზე, მოქალაქეობრივი მდგომარეობის, აქტების ჩანაწერებშიც, ეროვნება ჩაიწერება მამის ან დედის ეროვნების მონაცემებით, მშობლები თუ სხვადასხვა ეროვნების არიან, ეს დამოკიდებულია პასპორტის მიღების სურვილზე.

ეროვნების დაბრუნების თაობაზე განცხადებები, შესწავლისა და სათანადო დასკვნების მომზადების შემდგომ, წარედგინება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განცხადების ავტორთა გვარებთან დაკავშირებული ისტორიული მასალების შესწავლის, მათი წარმომავლობისა და ეროვნული კუთვნილების მეცნიერული კვლევისათვის. ინსტიტუტის დასტურისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დადგენილების საფუძველზე ხდება შესაბამისი ეროვნების აღდგენა.

ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ქართველების მიერ ეროვნების აღდგენისაკენ სწრაფვა უნდა იყოს მასობრივი. აღნიშნულ საქმეში ჩვენგან იქნება განსაკუთრებული მხარდაჭერა და თანადგომა.

აქვე გვინდა შემთხვევით ვისარგებლოთ და მივმართოთ ქ. ზუგდიდის ქუჩის კომიტეტებს და ზუგდიდის რაიონის საკრებულოს უფროსებს, რომ წარმოადგინონ საპასპორტო განყოფილებაში სწორი მონაცემები, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე სახელობითი სიები, სადაც აღნიშნული იქნება სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წლის ჩვენებით.

ზ. გოგია,
ზუგდიდის შ. ს. პოლიციის სამმართველოს საპასპორტო მუშაობის ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კუთხის ისტორია

ოდიშის სამთავროს სინამდვილე

მე 11 საუკუნის საქართველოში სოციალური ბრძოლების წინამძღვრები ძირითადად იკვეთება, რაც წინა საუკუნეში. ეს ეგან ბრძოლას ართულებდა საგარეო ბრძოლები. თუ ერთის მხრივ, დიდგვარიანი ფეოდალები, შეურიგებლად ებრძოდნენ დავით მეოთხის გამაერთიანებელ პოლიტიკას, მეორე მხრივ, უკვე მოძალებული თურქები ერეოდნენ ბრძოლის მიმდინარეობაში და ართულებდნენ მას. მიუხედავად ამისა, გამაერთიანებელი ტენდენციები გაცილებით უფრო მძლავრი აღმოჩნდა. ასე რომ, დავით აღმაშენებელი თბილისის სამეფოებს, დედაქალაქის თურქთაგან განთავისუფლების მიზნით, ვერ თიანებული საქართველოს დროშით მიადგა. მაგრამ მე—13 საუკუნის ოციანი წლებისათვის საქართველმწიფოს საგარეო პოლიტიკა შეირყა და როცა ხვარაზმელთა ხოლო შემდგომ მონღოლთა შემოსევა საქართველოს თავს მეხივით დაატყდა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული კონსოლიდაცია სუსტი იყო.

ამ გარემოებას, სამწუხაროდ, მოჰყვა საქართველოს კუთხეების კულტურულ—ეკონომიური დაქვეითება. გარეშე მტრების ხშირი თავდასხმების გამო მოიშალა სავაჭრო გზები, დაეცა ვაჭრობა და წარმოება, საქართველოს ეკონომიური მთლიანობა დაიქსაქსა... ამას ზედ დაერთო ფეოდალური შუღლი და მტრობა.

საქართველოს პოლიტიკურ—ეკონომიური დაცემის ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ოსმალების მიერ 1453 წ. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ. ამით ჩვენში ჩაიკეტა შავი ზღვის პირას მდებარე სავაჭრო გზა, რომელიც გადიოდა შავი და კასპიის ზღვით აღმოსავლეთში. აღნიშნული გზით აღმოსავლეთის ქვეყნებთან აწარმოებდნენ ვაჭრობას ვენეციელები და გენუელები, რომლებსაც შავი ზღვის სანაპირო ოებზე ჰქონდათ თავიანთი სავაჭროები. მაგრამ მას შემდგომ, რაც ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს შავი ზღვის სანაპიროები, მათ ჩაკეტეს დარდანელის სრუტე, ვენეციელები და გენუელები კი იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ვაჭრობა ოდიშთან, აგრეთვე, საქართველოს დანარჩენ პროვინციებთანაც, ვინაიდან ოსმალეთი არ იძლეოდა ამის საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ვაჭრობამ ოსმალეთის ამ ძალადობას თავი ადვილად დაალწია და სულ მალე აღმოაჩინა შედარებით უფრო მოხერხებული სავაჭრო გზა აღმოსავლეთისაკენ გამავალი. ამან კი მნიშვნელოვნად დააზარალა ოდიშის სამთავრო, რომელიც მომწყვდეული დარჩა კარჩაკეტილ ზღვაში და ქვეყანაც სწრაფი უკანდახევის გზას დაადგა.

ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ ოდიშის სამთავრო კულტურულადაც მოწყდა იმ უამინდელი ევროპის სახელმწიფოების ცენტრებს და უნებურად მოექცა ჩამორჩენილი ოსმალეთის გავლენაში.

მოკლედ, ასეთი იყო იმ დროისათვის ოდიშის სამთავროს საგარეო მდგომარეობა. ხოლო ქვეყნის შინაური მდგომარეობა უფრო უარეს დღეში იყო ჩავარდნილი. საქართველო, იმ უამად დანაწილებული იყო სამეფოებად და სამთავროებად, თითქმის ყველგან იყო აღმართული საბაუოები და საზღვრები. ესენი კი საგრძნობლად აფერხებდნენ სავაჭრო საქონლის ბრუნვას, გარდა ამისა აძვირებდა კიდევაც მათ ღირებულებას. ასეთ ვითარებას ზედ ერთვოდა განცალკევება და ფეოდალური ბრძოლა და მტრობა, ყველაფერი ეს კი ძირს უთხრიდა საქართველოს ერთიანობას. ამან გამოიწვია შემოსავლის კლება. ხარჯების დასაფარავად, ბუნებრივია, უმთავრესად ფული იყო საჭირო და მეფე—მთავრებიც იძულებული გახდნენ ახალი სახის გადასახადებიც შემოღოთ. მებატონეებმა, როცა იგრძნეს ეკონომიური სიდუხჭირე მიმართეს ყმებით ვაჭრობას შემოსავლის გადიდების მიზნით. ამ ან კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც გართულებული ბატონყმური ურთიერთობა. ტყვეთა ვაჭრობას, უწინარესად, ხელს უწყობდა ოსმალეთი, რომლის მოხარკედ ოდიშიც ითვლებოდა. სულთანისათვის დადიანს ყოველწლიურად უნდა ეხადა სხვადასხვა სახის ხარკი.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჭრობის საგანს ამ პერიოდისათვის შეადგენდა ტყვეთა გაყიდვა, რაც გაბატონებული წოდებისათვის საკმაო დიდი შემოსავალი იყო. ტყვეთა ვაჭრობას ოსმალეთთან ერთად სპარსეთიც უწყობდა ხელს, რომლებსაც ოდიშიდან ათასობით ტყვეები მიჰყავდათ. რაც არ უნდა შეგვაძრწუნოს ციფრმა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ოდიშიდან ყოველწლიურად 10—15 ათასი ტყვე მიჰყავდათ ოსმალეთში. ახალგაზრდა ვაჟებს რიცხავდნენ ხოლმე იანიჩარის ჯარში, სრულწლოვანი მამაკაცები და ქალები მიჰყავდათ მონებად, ხოლო ახალგაზრდა ქალები, ჩვეულებისამებრ, სულთანის ჰარამხანაში.

ტყვეთა ვაჭრობამ ოდიშში თანდათანობით მიიღო მეტად საშიში ხასიათი და ფულის მოგების მიზნით არ იყო ერთმანეთის დანდობა და შეწყალება. ამის შესახებ მე—17 საუკუნის ოდიშში მყოფი კათოლიკეთა მისიონერები: იოსები ძამპი, ჟ. შარდენი და ა. ლამბერტი მოგვითხრობენ შემაძრწუნებელ ფაქტებს.

ეს ტყვეთა გაყიდვა, რომელსაც აშკარად უწყობდა ხელს ოსმალეთი და ირანი, რაც ზევით ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, დიდ განსაცდელს უმზადებდა ოდიშის მოსახლეობის ფიზიკურ არსებობას. ტყვეებით ვაჭრობა მოსახლეობის შემცირებას იწვევდა. ეს საშინელი ფაქტი კი—მოსახლეობის მორალურ დაქვეითებას და ზნეობრივ გახრწნას. ხალხში შიში არსებობდა, შიში კი ამცირებდა გამრავლების უნარიანობას.

ტყვეთა ვაჭრობასთან დაკავშირებით გავრცელებული იყო ქურდობა. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ადამიანის ქურდები. ეს უკანასკნელნი იპარავდნენ ახალგაზრდა ქალ—ვაჟებს, რათა შემდეგ თურქებისთვის მიეყიდათ. რასაკვირველია, ქურდობა და ავაზაკობა არ იყო მეგრელების თანდაყოლილი თვისება, არამედ იყო ამ დროის ერთერთი ძირითადი საარსებო საშუალება. ამ პროცესის გაძლიერებას კი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ოსმალები და ირანი. ამ საშინელ სოციალურ სენს ებრძოდა ოდიშის ზოგიერთი მთავარი, მათ შორის ლევან მე—2 დადიანი, მაგრამ ამისი აღმოფხვრა საძნელო საქმე იყო. რადგანაც ამ ორი დიდი დამპყრობლის წყალობით მას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მოსახლეობაში.

ლევან მე—2 დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობასა და ხელოსნობის განვითარებას ოდიშში. მისთვის ცხადი იყო, რომ ხელოსნობის გარეშე ძნელი იყო შინაური ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ვაჭრობისა და ხელოსნობის დაწინაურების მიზნით ლევანმა, როგორც ცნობილია, სამეგრელოში გადმოასახლა ჩხარელი სომხები და ებრაელები, დაარსდა რამდენიმე სავაჭრო ადგილი, სადაც იმ ართებოდა ხოლმე დიდი ბაზრობა. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით ლევანმა ზუგდიდში დააარსა ზარაფხანა, სადაც ჭრიდნენ სპარსული ყაიდის ფულს.

ოდიშში მოწვეულ ხელოსნებს დადიანი ამუშავებდა ეკლესიებისა და სასახლეების აშენება შეკეთებაზე. ლევან მე—2—ის ამ მოღვაწეობას ადასტურებენ დღემდე დაცული მის მიერ განახლებული და მოჭედილი წარწერიანი ხატები.

მიუხედავად ამისა, ლევანის ცდები ოდიშის ყოველმხრივ და წინაურების საქმეში უდღეური აღმოჩნდა, რადგანაც ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას აფერხებდა ოდიშის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დამყარებული იყო ბატონ—ყმურ ურთიერთობაზე. სწორედ ეს გაბატონებული კლასი, რომელიც ცხოვრობდა საბეგრო გადასახადებით და ტყვეთა ვაჭრობით, მოკლებული იყო მორალურ შეგნებას და ზნეობრივ სიფაქიზეს. ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო ძალმომრეობა, მკვლელობა, მრუშობა და სხვა მრავალი ბიწიერება. გაბატონებული კლასის მორალურ დაქვეითებას ხელს უწყობდა აგრეთვე ოსმალეთისა და ირანის გავლენა. განსაკუთრებით ოსმალეთი ცდილობდა ოდიშის სამთავროს შინაგან გახრწნასა და დაცემას, რომელმაც ნაწილობრივ მიაღწია კიდევაც მიზანს. ყველაფერი ეს კი მიმართული იყო იქითკენ, რათა ოდიშის სამთავრო ადვილად ჩაეგდო მტერს ხელში.

ამ ეკონომიურ და მორალურ დაკნინებასთან ერთად ოდიშის სამთავროს აღნიშნულ პერიოდში აშკარად ეტყობოდა კულტურული დაქვეითებაც. ქართული ეროვნული კულტურა და მწერლობა თანდათანობით იწყებს მძლავრად დასუსტებას. ამ ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავდნენ შემდეგი უცხოელი მოგზაურებიც: ა. ლამბერტი, ბ. შარდენი და სხვები.

რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში— ვერ დავეთანხმებით ამ უცხოელ მოგზაურებს, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზნებით იყვნენ სამეგრელოში ჩამოსულნი და ცდილობდნენ მეგრელების გაკათოლიკებას და ეკლესიურად სამეგრელოს რომთან დაკავშირებას. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მათი აღწერილობა გაჟღენთილი იყოს კლერიკალიზმით. მათ მიერ სამეგრელოს წარსული და ყოფა—ცხოვრება გაშუქებულია კათოლიციზმის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, ობიექტურობასაც მოკლებულია.

მაგრამ „მიუხედავად ასეთი საერთო კულტურული დაქვეითებისა, ოდიშის სამთავროს არასოდეს არ გაუწყვეტია კულტურულ—ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოსთან,—აღნიშნავს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ს. მაკალათია,—ოდიშის მთავრებს ქართლ—კახეთთან ამასთანავე ჰქონდათ ნათესაური კავშირიც... ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ქართული კულტურის ტრადიციების განმტკიცებას ოდიშის სამთავროში, რასაც სხვათა შორის მოწმობენ ლევან მე—2—ის დროს ეკლესიებზე და ხატებზე კარგი ქართული ენით შესრულებული წარწერები და აგრეთვე იმ დროს გადაწერილი წიგნების არსებობა“.

მერაბ ჯიქია.

მადლი—

ქაფათის გორაზე გაბრწყინდება

ეკლესია ღვთის სახლია. უფალი ჩვენი მასთან არის ვინც ამ სახლს სულიერი ცხოვრებით განადიდებს, უვლის და კრძალვით უფრთხილდება.

იყო დრო, როცა ჩვენში თითქმის ყველა სოფელ—უბანს თავისი სამლოცველო ჰქონდა. მერე ურჯოლოებამ იმძლავრა... სატანის მოციქულებმა იავარყვეს შეურაცხჰყვეს და პარტახად აქციეს ათასობით ეკლესია—ტაძარი, ვანდალთა ამ უგნურ მოქმედებას შედეგად ის მოჰყვა, რომ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა შვიდი ათეული წელი უზნეობის, ნიჰილიზმის, ეგოიზმისა და მრავალგვარ ცოდვათა ჭაობში ჩაფლულებმა გავატარეთ...

ღვთის წყალობით, აწ სხვა ჟამი გვიდგას.

ძნელად, მაგრამ კირთებით, თანდათან ვტოვებთ იმ ჭაობს. დიდია სწრაფვა სიმართლისკენ, სარწმუნოებისკენ... დღითი—დღე მატულობს მრევლი, მატულობს ახლად ამოქმედებულ ეკლესიათა რიცხვი. და ამ ფონზე თითოეული ჭეშმარიტი ზუგდიდელისათვის უთუოდ სასიხარულო იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ქაფათის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდეს წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესია.

ამ ღვთისნიერი და საშვილიშვილო საქმის მოთავე და მოჭიდებულად გაბრწყინდება ახალი ორნახულე გახლავთ ჩვენი თანამოქალაქე, პროფესიით მშენებელ—ინჟინერი, ბატონი ხუტა თორია.

ცხადია, ახალი ეკლესიის ასაშენებლად საჭიროა ფინანსური სახსრები, რაც დღევანდელი თუ ხვალინდელი რეალობიდან გამომდინარე —მცირე ვერ იქნება. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ღვთის შეწევნითა და ზუგდიდელთა მოწყალე გულის მეოხებით ქველმოქმედება ამჯერადაც გამოისხამს კეთილ ნაყოფს და ქაფათის გორაზე დიდებულად გაბრწყინდება ახალი სამლოცველო.

ყველას, ვისაც სურს საკუთარი ფულადი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილური საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში, ვაცნობებთ, რომ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის საჭიროებისათვის საქართველოს სამეფო ბანკის ზუგდიდის ფილიალში გახსნილია სპეციალური ანგარიში, რომლის რეკვიზიტებია: № 000606236, მფო—522298, კოდი—220103779.

შეეწიეთ და უფალი შეგეწევათ.

ჯ. არჭანია.

მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზება

ჩვენს ქალაქსა და რაიონში დღეის მდგომარეობით კონკურსის წესით პრივატიზირებულია ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების 11 ობიექტი, 41 სატრანსპორტო ერთეული, სულ 418,4 ათასი კუპონის საწყისი საბალანსო ღირებულებით. პრივატიზაციიდან ამონაგებმა კი შეადგინა 21913 ათასი კუპონი.

კონკურსის წესით გაიყიდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 7 ობიექტი, საცალო ვაჭრობის ორი ობიექტი, ერთი საზოგადოებრივი კვების ობიექტი, №2 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური.

კონკურსის შედეგებით დასახელებულ ობიექტებზე საკუთრების უფლება შეიძინეს თვით დასახელებული ობიექტების მუშაკებმა. სატრანსპორტო საშუალებები კი მიეყიდათ უშუალოდ ამ საწარმოთა მუშაკებს. (სატრანსპორტო ერთეულის მძღოლებს)

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პრივატიზაციო კომისიის მიერ (29 მაისის მდგომარეობით) კონკურსის წესით პრივატიზებულია:

ქალაქ ზუგდიდის აღმაშენებლის ქუჩა №30-ში მდებარე საფირმო მაღაზია „ორბიტა“; ამავე ქუჩაზე №15-ში მდებარე ტელე-ატელიეს სახელოსნო; სოფელ ოდიშში მდებარე სინწის სანაპიროზე მდებარე სადურგლო საამქრო; აქვე მდებარე ხის დასამუშავებელი საამქრო; აღმაშენებლის №20-ში მდებარე „საიუველირო“ სახელოსნო; ოდიშში სინწის სანაპიროზე მდებარე სადურგლო სახელოსნო, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე საბნის სამკერვალო ფარდული.

ვაჭრობის ობიექტის პრივატიზაციო კომისიის მიერ კონკურსის წესით (12 ივლისის მდგომარეობით) პრივატიზებულია:

„საქავტოსервისის“ №1 მაღაზია (სოხუმის ქუჩაზე); ქ. ზუგდიდის ვაჭრობის სამმართველოს სამრეწველო მაღაზია №20 (საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე); ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს რესტორანი „საიუბილეო“ (ცოტნე დადიანის ქ. №9),

ბენზინის გასამართი ავტომატური სადგურის პრივატიზაციო კომისიის მიერ კონკურსის წესით (12 ივლისის მდგომარეობით) პრივატიზებულია:

№ 2 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური. აღნიშნული ობიექტების საკონკურსო გაყიდვაში საწარმოს შრომით კოლექტივთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ორი ფიზიკური პირი. კონკურსის შედეგებით გამარჯვებულად გამოცხადდნენ და პრივატიზაციო ობიექტებზე საკუთარი უფლება მოიპოვეს შესაბამის საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა.

საკონკურსო პირობების თანახმად პრივატიზებული ობიექტების მესაკუთრენი ვალდებულნი არიან რესპუბლიკისა და რეგიონის ინტერესების გათვალისწინებით, ძირითადად პროფილის შეცვლის გარეშე უზრუნველყონ მომსახურების დონის ამაღლება. გაატარონ გარემოს დაცვის ღონისძიებები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქისა და რაიონის განაშენიანებასა და კეთილმოწყობაში, აგრეთვე საქველმოქმედო ღონისძიებებში. პასუხს აგებენ ყველა ვალდებულებებზე, რომელიც პრივატიზაციამდე ქონდათ ნაკისრი.

კონკურსის პირობების თანახმად მყიდველებს ეკრძალებათ შეძენილი ობიექტების სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე გაცემა საკუთრების უფლებების გაფორმებიდან სამი-ხუთი წლის განმავლობაში.

მცირე პრივატიზაციის პარალელურად მიმდინარეობს საშუალო და მსხვილ საწარმოთა აქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოები. მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილების თანახმად, რეგიონის ყველა იმ საწარმოში, რომელიც ექვემდებარება აქციონირებას შექმნილია შესაბამისი კომისიები. ქალაქისა და რაიონის რიგ მსხვილ საწარმოებში: „საქქაღალდმრეწვი“, ფაიფურის ქარხანა, მანქანათმშენებელი ქარხანა, აღნიშნული სამუშაოები (პრივატიზაციის გეგმის, სახელმწიფო ქონების შეფასების აქტისა და საქციო საზოგადოების წესდების შედგენა-შემუშავება) ფაქტიურად დამთავრებულია.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია გრძელდება.

ზ. გულუა,

სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი.

რატომ არ შემოდის მატარებელი?

ერთ წელზე მეტია, სადგურ ზუგდიდში სამგზავრო მატარებელი არ შემოსულა. ხელმძღვანელობა მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზს ასახელებს. რამე უკეთესობა არ სჩანს. ხალხი კი დაიტანჯა. გაწვალდა. მოგებსენებათ, საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობა დღეს როგორ გაძნელებულია და გაძვირებულიც. გთავაზობთ ვაგზლის უფროსის მოადგილის **მერაბ ფიფიას** საუბარს. თუმცა არც ეს საუბარია დამაიმედებელი.

—რატომ არ შემოდის ზუგდიდში მატარებელი? იმიტომ, რომ რკინიგზა ხშირად პოლიტიკურ აქციათა ასპარეზი ხდება, იმიტომ რომ ინგირ-ზუგდიდის გადასარბენზე საკონტაქტო ქსელი განადგურებულია, იმიტომ, რომ ამ გადასარბენისა და სადგურ ზუგდიდის მისაღები ლიანდაგები შესაკეთებელია, იმიტომ, რომ სადგურის შენობა ყველაფერია სადგურის შენობის გარდა, იმიტომ, რომ მოშლილია სატელეფონო კავშირი სამტრედიის განყოფილებასთან. იმიტომ, რომ სუსტია სახაზო მილიციის მუშაობა და შეიძლება ასე უსასრულოდ გაგრძელდეს ეს „იმიტომ, რომ...“ ყოველივე ამის სათავე ის ქაოსია, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მოიცვა ბოლო ორი წლის მანძილზე, მაგრამ ყველაფერი რომ პოლიტიკურ მდგომარეობას გადავაბრალოთ ესეც არ შეიძლება. რას ჰგავს სადგურის შენობა. ხალხმა გაანადგურა და გაანიავა ის, თვით იმ ხალხმა, რომელიც ღღეს ასე განიცდის უმატარებლობას ზუგდიდში. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. შემოგვრჩა ერთადერთი ოთახი, ორად ორი მაგიდა და რამდენიმე სკამი. ჩვენც ვართ დამნაშავე, ჩვენც ვერ დავიცავით ის საიმედოდ. იმიტომ ყველამ უნდა აგოს თავისი წილი პასუხი.

როგორც ხედავთ, ამჟამად სადგურ ზუგდიდს არ გააჩნია მინიმალური პირობებიც მუშაობისათვის. ქალაქისა და რაიონის გამგეობის სხდომაზე არაერთხელ იმსჯელეს ჩვენი სადგურის შეკეთებაზე. გადაწყდა და ეს დაევალა №12 ტრესტს. 7 მილიონი მანეთი, რომელიც ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა სოლიდური თანხაა. დღეისთვის დახმარებას გვპირდებიან ჩაის კომბინატი „ოდიში“, ბურპროდუქტების კომბინატი. სამტრედიის რკინიგზის განყოფილებაც მზადაა თავისი წილი გაიღოს. სამგზავრო მატარებლის კურსირება ნორმალურად თუ დაიწყო, მერე დრო და დროის ორგანიზაციებიც დაგვეხმარებიან, რომლებსაც ჩვენი სადგური მოემსახურება. უპირველესი ამოცანაა, საკონტაქტო ქსელის აღდგენა. მეზობელ თურქეთში „დიდ სარფიან საქმეზე„ მიმავალი ჩვენი თანაქალაქელი არ ფიქრობდა, თუ ოდესმე ინატრებდა მატარებელს. არც ლიანდაგების ამყრელი და საშენ მასალათა სახლში წამღები ჭვრეტდა შორს. ამიტომაც ვართ ასეთ სავალალო დღეში. სადგურის შენობის კაპიტალური რემონტის საკითხი შესაძლებელია ადგილობრივი ძალებით მოვაწესრიგოთ. საკონტაქტო ხაზების აღდგენა კი ზემდგომი ორგანოების დახმარების გარეშე შეუძლებელია.

მიუხედავად სიძნელეებისა, ზუგდიდის სადგურიდან გადიან საკერძო მატარებლები. გადიან სამანევრო თბომავლის საშუალებით, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს. საწვავის პრობლემას ასეთ შემთხვევაში აგვარებს ის ორგანიზაცია, რომელიც სატვირთო ოპერაციებს ასრულებს. სხვა გზა დიზელის საწვავის შოვნისა, ჩვენ არ გაგვაჩნია. ჩვენ რომ გვქონდეს ადგილობრივი ხელისუფლებისგან დიზელის საწვავის გარანტი სამანევრო თბომავლის საშუალებით სადგურ ინგირამდე სამგზავრო მატარებლების რეგულარულ მოძრაობასაც ვუზრუნველყოფდით.

საუბარი ჩაიწერა: მ. ჯონჯუამ.

რედაქციაში მოქალაქე მოვიდა

ტროლეიბუსი არ მოძრაობს. რატომ?

26 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში ტროლეიბუსის გაჩერებაზე ლოდინით დაქანცული მოქალაქეების ერთი ჯგუფი გვესტუმრა. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ ტროლეიბუსის სამმართველოს ადმინისტრაციისაგან პასუხს, თუ რატომ შეწყვიტა ტროლეიბუსმა მუშაობა.

შიდასაქალაქო ტრანსპორტის მომსახურებით,— თქვეს მათ დიდად განებივრებული არა ვართ, თუ რომელიმე მიმართულებით ავტობუსი გამოჩნდა, იქ ისეთი რიგი და თავპირის მტვრევაა, რომ ფეხზე დასადგომ ადგილსაც ვერ იშოვი. ამასთან ერთ მგზავრთა მომსახურების ფასებია ხელსაყრელი დიდი უმრავლესობისათვის.

ერთადერთი ტრანსპორტი, რომლის მომსახურებითაც კმაყოფილი ვიყავით ფაიფურის ქარხნისა და ქალაქის საავადმყოფოს მიმართულებით მიმავალი მგზავრები, ტროლეიბუსი გახლდათ, ბოლოს ამანაც გვიმტყუნა.

პატივცემულო რედაქციავ, იქნებ დაგვეხმაროთ იმის გარკვევაში, თუ რატომ შეწყვიტა ტროლეიბუსმა მოძრაობა?

რედაქცია ოპერატიულად დაუკავშირდა ტროლეიბუსების სამმართველოს ადმინისტრაციას.

აი რა გვიპასუხა სამმართველოს უფროსმა რევაზ ფიფიამ:

ორ წელზე მეტია ქალაქ ზუგდიდის ტროლეიბუსების სამმართველოს არ მიუღია სათადარიგო ნაწილები რესპუბლიკაში მისი არ არსებობის გამო. გაწყვეტილია ეკონომიკური კავშირები მომწოდებლებთან.

ტროლეიბუსები დღეისათვის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარია, ამას დაემატა მგზავრთა მხრიდან უდიერი მოპყრობაც. რის გამოც ტროლეიბუსების სამმართველო იძულებულია მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების დაცვის მიზნით დროებით შეაჩეროს ტროლეიბუსების მოძრაობა გეგმიური - გამაფრთხილებელი რემონტების ჩასატარებლად და სათადარიგო ნაწილების შეძენის მიზნით. მოქალაქეებს ვაფრთხილებთ, რომ ტროლეიბუსების მოძრაობა შეწყდა 1993 წლის 26 აგვისტოდან. მას შემდეგ, რაც სრულ წესრიგში იქნება მოყვანილი თუნდაც ერთი ტროლეიბუსი, დაიწყება მოქალაქეთა მომსახურება. ტროლეიბუსების სამმართველოს ადმინისტრაცია შექმნილი მდგომარეობის გამო ბოდიშს უხდის მოქალაქეებს.

ჩვენი კალენდარი

ესპანეთის სახელოვანი შვილი

95 წლის წინათ დაიბადა უდიდესი ესპანელი პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა. ამ სახელს დიდ პატივს სცემს ქართველი მკითხველი, რამეთუ მას უკავშირდებს თავისუფლების, სამართლიანობის იდეისათვის უკომპრომისო ბრძოლის კეთილშობილური სწრაფვას. ამ შესანიშნავი შემოქმედის გახმაურებული პიესა „სისხლიანი ქორწილი“ არაერთხელ დაუდგამთ ქართულ თეატრში და უზომო მოწონებაც დაუმსახურებია.

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ის მცირეოდენი ინფორმაცია, რასაც გვაწვდის ფირმა „ოტარიდის“ მიერ გამოცემული ახალი ქართული კალენდარი.

„დაიბადა ფუენტე-ვაკეროსში, დამთავრა გრენადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1919 წლიდან მადრიდშია. პირველ შემოქმედებით წარმატებებს აღწევს მუსიკაში. პოეზიაში დაძლია მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის გავლენა. დიდი ადგილი დაუთმო ფოლკლორს, პოეტიკასა და ტრადიციებს, რისი წყალობითაც თვალსაჩინო ადგილი დიმკვიდრა ესპანეთის კლასიკურ რეალისტურ ლიტერატურაში, ახასიათებდა დაუცხრომელი ძიებანი ახალი გამომსახველობითი საშუალებებისა და ფორმების მოსაპოვებლად.

ჯ. თელია.

გაზეთებიდან

ვინ ვის სცემს პატივს?

ადრე დიდი ხელმძღვანელების კაბინეტებს ლენინის, მარქსის, ძერჟინსკის პორტრეტები ამშვენებდა. დღეს კი, ვისაც ვინ მოსწონს, და რა მოსწონს იმ სურათს კიდებს. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტს კაბინეტში მინინისა და პოუარსკის სურათი უკიდია.

ვიცე-პრეზიდენტმა რუცკოიმ სხვა კერპი აირჩია—პეტრე პირველი.

თავდაცვის მინისტრის კაბინეტში სულ ცოტა ხნის წინათ მარშალ უუკოვის პორტრეტი ეკიდა. ახლა კი საპატიო ადგილი ბ. ელცინმა დაიკავა.

საგარეო საქმეთა მინისტრის ზურგს უკან რუსეთის უზარმაზარი დროშაა გაშლილი. კარადაში წიგნები აწყვია. მისაღებს კი ამშვენებს რუსეთის ოთხი პეიზაჟი, რომლებიც კოზირევს მემკვიდრეობით დარჩა.

უმაღლესი სამბჭოს თავმჯდომარე ხასბულატოვი მოკრძალებული ადამიანია—მის ზურგს უკან მხოლოდ რუსეთის დროშა ჩანს. უნდა ითქვას, რომ „თეთრი სახლის“ სახურავზე რუსეთის ავტონომიების დროშებს შორის პირველი ჩეჩნეთის მწვანე დროშა ფრიალებს.

„ბანკი“.

მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზება

სახელმწიფო ქონების მართვის ზუგდიდის სამმართველო 1993 წლის 23 სექტემბერს 12 საათზე, (ჯანაშიას ქ. №1) ატარებს საკონკურსო კომისიის სხდომას.

გ ა ი ყ ი დ ე ბ ა:

ბენზინის გასამართი ავტომატური სადგურები:

1. №3 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური (ს. რუხი) საოპერატორო შენობას უჭირავს 15 კვმ ფართობი. გასაყიდი ფასი 2763 ათასი კუპონი.

2. №4 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური (ს. ჭითაწყარი) აქვს 6 ბენზინის, 3 ზეთის ჩამოსასხმელი სვეტი, 6 საწვავის რეზერვუარი, საოპერატორო შენობას უჭირავს 15 კვ. მ ფართობი, გასაყიდი ფასი 3694 ათასი კუპონი.

3. №1 კონტეინერული ტიპის ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური, (მარჯვენა სანაპიროს ქუჩაზე). საოპერატორო შენობის ფართობია 10 კვმ. გასაყიდი ფასი შეადგენს 3169 ათას კუპონს.

4. №2 კონტეინერული ტიპის ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური (ს. რუხი). საოპერატორო შენობის ფართობია 12 კვმ. გასაყიდი ფასი შეადგენს 3262 ათას კუპონს.

საცალო ვაჭრობისა და საზეკვების ობიექტები:

1. სასურსათო ფარდული №32 —დაკავებული ფართობი 12 კვ.მ, სასტარტო ფასი 460,3 ათასი კუპონი.

2. სასურსათო ფარდული №52— დაკავებული ფართობი 15 კვ.მ. სასტარტო ფასი 529,7 ათასი კუპონი.

3. სასურსათო მაღაზია №16 —დაკავებული ფართობი 36 კვ. მ. სასტარტო ფასი 667,2 ათასი კუპონი.

4. სასურსათო მაღაზია №27— დაკავებული ფართობი 38 კვ. მ. სასტარტო ფასი 795,8 ათასი კუპონი.

5. სასურსათო მაღაზია №65— დაკავებული ფართობი 36 კვ. მ. სასტარტო ფასი 779,8 ათასი კუპონი.

6. სასურსათო მაღაზია №23 —დაკავებული ფართობი 60 კვ. მ. სასტარტო ფასი 1232,6 ათასი კუპონი.

7. სასურსათო მაღაზია №103 —დაკავებული ფართობი 48 კვ.მ. სასტარტო ფასი 1442,0 ათასი კუპონი.

8. სასურსათო ფარდული №8 —დაკავებული ფართობი 34 კვ.მ სასტარტო ფასი 1354,6 ათასი კუპონი.

9. სასურსათო მაღაზია №89— დაკავებული ფართობი 64 კვმ. სასტარტო ფასი 1436,4 ათასი კუპონი.

10. სასურსათო მაღაზია №35 —დაკავებული ფართობი 36 კვმ. სასტარტო ფასი 661,9 ათასი კუპონი.

11. სასურსათო მაღაზია №12 დაკავებული ფართობი 38 კვმ. სასტარტო ფასი 1191,1 ათასი კუპონი

12. სასურსათო მაღაზია №30 —დაკავებული ფართობი 40 კვ.მ. სასტარტო ფასი 839,3 ათასი კუპონი.

13. სასურსათო მაღაზია №72 —დაკავებული ფართობი 32 კვ.მ. სასტარტო ფასი 381,4 ათასი კუპონი.

14. სასურსათო მაღაზია №28—დაკავებული ფართობი 54 კვ. მ, სასტარტო ფასი 1413,6 ათასი კუპონი.

15. მაღაზია №67— დაკავებული ფართობი 46 კვ.მ, სასტარტო ფასი 845,3 ათასი კუპონი.

16. კოკტეილ ბარი — დაკავებული ფართობი 26 კვ. მ, სასტარტო ფასი 703,2 ათასი კუპონი.

17. სასოსისე №2— დაკავებული ფართობი 65 კვ. მ. სასტარტო ფასი 1414,8 ათასი კუპონი.

18. ლუდის ბარი №81—დაკავებული ფართობი 96 კვ. მ, სასტარტო ფასი 4316,2 ათასი კუპონი.

19. სამრეწველო მაღაზია №79 —დაკავებული ფართობი 40 კვ.მ, სასტარტო ფასი 570,7 ათასი კუპონი.

20. სამეურნეო მაღაზია №60 —დაკავებული ფართობი 78 კვ. მ, სასტარტო ფასი 3148,8 ათასი კუპონი.

21. ელექტროსაქონლის მაღაზია №64— დაკავებული ფართობი 40 კვ. მ, სასტარტო ფასი 1400,9 ათასი კუპონი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები:

1. ქვის დასამუშავებელი საამქრო კრილოვის ქუჩაზე —დაკავებული ფართობი 20 კვ. მ, სასტარტო ფასი 118 ათასი კუპონი.

2. ქვის დასამუშავებელი საამქრო ქაფათის სასაფლაოს ტერიტორიაზე —დაკავებული ფართობი 100 კვ. მ, სასტარტო ფასი 196 ათასი კუპონი.

3. ქვის დასამუშავებელი საამქრო გეგეჭკორის ქუჩაზე— დაკავებული ფართობი 100 კვ. მ, სასტარტო ფასი 362 ათასი კუპონი.

4. სადურგლო სახელოსნო გეგეჭკორის ქუჩაზე —დაკავებული ფართობი 70 კვ. მ, სასტარტო ფასი 143 ათასი კუპონი.

5. ფეხსაცმლის სარეალიზაციო ფარდული ბაზრის ტერიტორიაზე —დაკავებული ფართობი 70 კვ. მ, სასტარტო ფასი 331 ათასი კუპონი.

6. საათების შესაკეთებელი ჯიხური ბაზრის ტერიტორიაზე —დაკავებული ფართობი 3 კვ. მ, სასტარტო ფასი 22,7 ათასი კუპონი.

7. მამაკაცთა საპარიკმახერო პუშკინის ქუჩაზე —დაკავებული ფართობი 6 კვ. მ, სასტარტო ფასი 72 ათასი კუპონი.

8. ფოტო-ატელიე დ. აღმაშენებლის ქუჩაზე —დაკავებული ფართობი 8 კვ. მ, სასტარტო ფასი 254 ათასი კუპონი.

9. პავილიონი „ორული“ სოფელ ორულში —დაკავებული ფართობი 36 კვ. მ. სასტარტო ფასი 469,4 ათასი კუპონი.

10. სადურგლო საამქრო სოფელ ინგირში —დაკავებული ფართობი 180 კვ. მ, სასტარტო ფასი 173 ათასი კუპონი.

11. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ს. დარჩელში—დაკავებული ფართობი 210 კვ. მ, სასტარტო ფასი 2383,2 ათასი კუპონი.

12. ქვის დასამუშავებელი საამქრო სოფელ რუხში —დაკავებული ფართობი 244 კვ. მ, სასტარტო ფასი 220,8 ათასი კუპონი.

13. საყოფაცხოვრებო ნაწარმების სარეალიზაციო პუნქტი ბაზრის ტერიტორიაზე —დაკავებული ფართობი 20 კვ. მ, სასტარტო ფასი 343,2 ათასი კუპონი.

14. პავილიონი ს. ცაცხვში— დაკავებული ფართობი 36 კვ. მ, სასტარტო ფასი 433,4 ათასი კუპონი.

15. ქვის დასამუშავებელი საამქრო ს. ოდიშში— დაკავებული ფართობი 200 კვ. მ, სასტარტო ფასი 1034,4 ათასი კუპონი.

16. პავილიონი ს. ოდიშში— დაკავებული ფართობი 36 კვ. მ, სასტარტო ფასი 264 ათასი კუპონი.

17. პავილიონი ს. ურთაში— დაკავებული ფართობი 36 კვ. მ, სასტარტო ფასი 450,9 ათასი კუპონი.

18. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „ჰიგიენა“ —დაკავებული ფართობი 2000 კვ. მ, სასტარტო ფასი 6,693 ათასი კუპონი.

შენიშვნა: კონკურსში მონაწილეობის უფლებაზე განაცხადის შეტანის უკანასკნელი ვადაა კომისიის პირველი სხდომის დაწყებამდე 3 სამუშაო დღე.

კონკურსის პირობები:

1. მყიდველის მიერ ობიექტის პროფილის შენარჩუნება 5 წლის ვადით.

2. 3 წლის ვადით ობიექტის სხვა პირზე გადაცემის (ყიდვა-გასხვისების სხვა ფორმა) აკრძალვა.

3. გარემოს ეკოლოგიური დაცვის უზრუნველყოფა.

4. უმოკლეს ვადაში ობიექტისათვის თანამედროვე გარე იერსახის მიცემა, სარეკლამო ფარების მოწყობა.

5. ობიექტზე დასაქმებული თანამშრომელთა კონტინგენტის შენარჩუნება, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა.

შენობა-ნაგებობების გაყიდვის შემთხვევაში მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობით სარგებლობა მყიდველის მიერ განხორციელდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განცხადების მიღება წყდება: კომისიის პირველი სხდომიდან სამი სამუშაო დღით ადრე.

აღნიშნული ძირითადი პირობების გარდა კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება მყიდველთა მიერ წარმოდგენილი სხვა მისაღები პირობებიც.

კონკურსში გასაყიდი ობიექტების ღირებულების გადახდა იწარმოებს კუპონებზე მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1, ტელ: 2-48-84 ან 6-16-81.

სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო.

ლამაზი, გულწრფელი წიგნი

სად არის გამოსავალი? როგორ ვპოვოთ ტაძრისაკენ მიმავალი გზა? ვინ და რა გადაარჩენს ჩვენს სულებს, ჩვენი შვილების სულებს? ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს, როცა იშვიათად უხდიან ხარჯს ზნეობას, როცა ბევრი არაფრად დაგიდევს მოყვასის გულს, ტკივილს, სხვის ცრემლებს, პოეზიას, ლექსს სთვლის სულის არსებობა-არარსებობის საზომად, მის საგანძურად. პოეტი ქალი ზეინაბ სარია. ამის დასტურია მისი პოეტური კრებული: „ვინძლო მიხსნას ლექსმა“.

ზეინაბი ჩვენი თანაქალაქელია, პროფესიით ფილოლოგი. წერს იმას, რასაც ხედავს, განიცდის, ფიქრობს. საოცრად უშუალო, ქალური, საოცრად წმინდაა მისი სტრიქონები. აი ამშვენებს კიდეც წიგნს ავტორისეული ავტოგრაფი „სიწმინდე ჯავშანია“. „ცრემლა წამწამებო, ღიმად ნაწამებნო, ლხენა დაგწამეთო, ტკბილს დაგწამეთო, გულსაც აცალეთო, გულს ნუ აწვალებთო, ცრემლა წამწამებო, ვეძა დასცალეთო!“... „ვიღამ გაზომოს ყონაღი ნამუსის ნაკლებ-მეტობით, პირველ ღალატამდე გენდობი!... ლამაზღიმილა მოძულეც შეგვხდება იღბალბედობით, პირველ ღალატამდე გენდობი!“.. —წერს ზეინაბ სარია და ასეთი სათუთი და ლამაზი ხელწერით გამორჩეულია მისი ყოველი ლექსი.

მ. ჯონჯუა.

ვყიდი ხის ერთსართულიან, ოთხ ოთახიან სახლს ქ. ზუგდიდში, ფიფიას ქ. №16 (ჭვარის გადასახვევთან).

ცნობებისათვის მოგვმართეთ ერისთავის ქ. №48-ში.

რომან ლაგვილავა.

რევაზ ხოფერიას ხსოვნას

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რიგებს უდროოდ ამოაკლდი ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეცნიერი, გამომგონებელი, რაციონალიზატორი, კოლექციონერი და რაც მთავარია ქართული ჩაის დიდი მოამაგე.

თქვენ დაუშრეტელი ენერგიით მრავალი ათეული წელი ემსახურეთ ქართულ ჩაის, მაგრამ ვთვლით, რომ თქვენი პიროვნებისათვის ეს ჯერ კიდევ მცირედი წვლილი იყო იმ დიდი მოღვაწეობისა, რომელსაც თქვენგან მოველოდით ეროვნული ჩაის ტექნოლოგიის განვითარების საქმეში.

ბატონო რეზო, გვერწმუნეთ, რომ ქართული ჩაის მრეწველობა უფერული იქნება თქვენი ბობოქარი და კოლორიტული პიროვნების გარეშე.

თქვენს პიროვნებაში მეცნიერებასთან ერთად ჰარმონიულად იყო შეხამებული ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები— მეგობრობის დიდი ძალა, შრომისმოყვარეობა, სიმტკიცე და სიმამაცე. კეთილ ხასიათთან ერთად თქვენ მეტად პრინციპული და მომთხოვნი ბრძანდებოდით. დიდ ენერგიას ახმარდით ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების საქმეს.

ბატონო რეზო, ჩვენ დიდად გვეამაყება, რომ ჩვენს ლაბორატორიასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული თქვენი შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო წლები. თქვენი სამეცნიერო შრომები ჩვენი საქმიანობის მუდმივი თანამგზავრი იქნება. თქვენი სახელი უკვდავი იქნება თქვენს პატარა ლაბორატორიაში.

მარადისობაში გადასული გვენანები ყველას, ყველას ვინც კი გიცნობდა, ვის ხსოვნაშიც კაცური კაცის სახელით იცოცხლებ მუდამ.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო!

ზუგდიდის ჩაის ტექნოლოგიის ლაბორატორიის კოლექტივი.

სარედაქციო კოლეგია

შვილები: დემური, ქსენია, ეთერი, ლამარა შამუგიები, და თამარა, რძალი მედიკო ტაბაღუა, სიძეები ჯანიკო ჭანია, ვალიკო ფიჩხაია, გურამი კარტოზია, შვილიშვილები ლადო, გიორგი შამუგიები, მარინა, მანონი ჯორჯიანები, ქეთინო. როლანდი ჭანიები, თამრიკო ფიჩხაია, მუღლები: ლენა, ბაბუცა შამუგიები, დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ლოლა არსენის ასულ პაჭკორია-შამუგიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 სექტემბერს. დაკრძალვა 5 სექტემბერს კვირას 5 საათზე სოფ. ცაიშში.

დედა მარო, მეუღლე ნიურა, შვილები ლუიზა, როზა. სოსო. დები: ნელი, ბედიშა, ძმა მამია, რძლები: ნონა, სულიკო, ლუბა, სიძეები: გიგლა ჯახია, ნუგზარი ქორია, ვაჟა ჯიქია, გურამი ქარდავა, შვილიშვილები: ლაშა, ბადრი, თეა, ლევანი, დათო. ცირა. მაია, ახლო ნათესავები იუწყებიან

ჟორჟი გრიგოლის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას პანაშვიდი 2, 3 სექტემბერს. დაკრძალვა 4 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბორჯომის ქ. №11-დან.

მეუღლე ვიდიშა, შვილები: გოჩა, თემური, ძმები სერგო, ოთარი აბაიშვილები, რძლები: მედიკო, ბელა, ნუშა. ნატა. სიდედრი ნადია. ცოლისძმა ველოდი, ცოლის და გული გუგუჩია, შვილიშვილები: ფრიდონი, შორენა, ანა აბაიშვილები, ძმისშვილები: თამრიკო და დათო აბაიშვილები ახლო ნათესავებით იუწყებიან

შაქრო ნიკოლოზის ძე აბაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 სექტემბერს სოფ. კახათში.

მეუღლე მარინა. შვილი სალომე. დედა ელისო, დები: ნანი, ნინო. სიძე გელა ჭუბლულია, ბებიები: ნუცა. თალიკო. ბაბუა უშანგი ნარმანია, მამიდა ნუნუ, სიდედრი დოდო, სიმამრი: რუბენი როგავა, ცოლისდა ირინა, ცოლისძმა რომანი, სიძე ზაზა ბეშვაია, ბიცოლები: ანა, ლიანა. მანანა, ბიძიები: ხოდარი მიქავა, ვალერი ნარმანია, ნაპო ჩხაპელია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

ჰამლეტი (ჰაბუკა) რენოს ძე მიქავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 სექტემბერს ზუგდიდში, გამოსვენება სოხუმის ქ. №42-დან 18 ს.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №96, 2-22-87, ტირაჟი 190, შეკ. №717.